კონფიდენციალობა

მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

იმედი L („ჩვენ“, „აპლიკაცია“) იღებს ვალდებულებას, დაიცვას თქვენი კონფიდენციალობა და თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება. წინამდებარე „მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ ქვეყნდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და განმარტავს, თუ როგორ ვახორციელებთ ჩვენი რეგისტრირებული მომხმარებლების („მომხმარებელი“, „თქვენ“, „თქვენი“) პერსონალური მონაცემების და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, გაზიარებას და დაცვას.

თუ „თქვენ“ არ ეთანხმებით მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, გაზიარების და დაცვის იმ მეთოდებს, რომლებიც აღწერილია „მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში“, არ გამოიყენოთ იმედი L ან რომელიმე სხვა მისი სერვისი.

ამ „აპლიკაციის“ გამოყენება ჩაითვლება იმის ნიშნად, რომ „თქვენ“ წაიკითხეთ, გაიგეთ და დაეთანხმეთ „მონაცემთა დაცვის პოლიტიკით“ განსაზღვრულ მეთოდებსა და პოლიტიკას და თანახმა ხართ, „მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ სავალდებულო იყოს თქვენთვის.

წინამდებარე დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ „თქვენ“ ეთანხმებით „თქვენი“ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების და გამჟღავნების იმ მეთოდებს, რომლებიც აღწერილია „მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში“.

თუ „აპლიკაციას“ იყენებთ სხვა ადამიანის სახელით (მაგალითად, თქვენი შვილის), „თქვენ“ აცხადებთ, რომ უფლებამოსილი ხართ, (I) ამ ადამიანის სახელით აღიაროთ „მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ და (II) ამ ადამიანის სახელით დაეთანხმოთ მის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, გაზიარების და დაცვის იმ მეთოდებს, რომლებიც აღწერილია „მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში“.

1. პერსონალური მონაცემების შეგროვება და დამუშავება

1 სადაზღვევო მომსახურების გაწევის, მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და ასევე, ხარისხის გაუმსჯობესების, სტატისტიკური კვლევების წარმოების, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებების შესრულების მიზნით, დამზღვევი/დაზღვეული ადასტურებს წინასწარ თანხმობას მზღვეველის წინაშე და მას ანიჭებს უფლებას შემდეგზე:

1.1 მზღვეველის მიერ დამუშავებული იქნას ხელშეკრულების საფუძველზე დაზღვეული ნებისმიერი პირის პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები, მათ შორის, პროგრამული უზრუნველყოფის (ავტომატური და/ან ნახევრად ავტომატური დამუშავების) გამოყენებით, როგორც თავისი უშუალო თანამშრომლების ისე - მოწვეული პირების და ასევე, თავისი კონტრაქტორების მეშვეობით, ამასთან, ამგვარი დამუშავება უნდა განხორციელდეს

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად იმ მოცულობით და ფარგლებში, რაც საჭიროა მომსახურების გასაწევად, რაიმე დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე.

1.2 ამ თანხმობის მიზნებისათვის, მონაცემების გაზიარების მიზნით, ნებადართულ მესამე პირებად იგულისხმება: სს „მეგა-ლაბი“,

სს „გეფა“, სს „ევექსის კლინიკები“ (და მის ქსელში შემავალი კლინიკები), სს „ევექსის ჰოსპიტლები“ (და მის ქსელში შემავალი ჰოსპიტლები) და ასევე, ის სამედიცინო დაწესებულებები, ლაბორატორიები, თუ ფარმაცევტული კომპანიები (ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლები) რომელიც შესაბამისი დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, განისაზღვრება, როგორც მომსახურების პროვაიდერი კომპანია, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნას, როგორც მიმდინარედ, ისე - სამომავლოდ შესაბამისი სადაზღვევო მომსახურების გაწევა და დაზღვეულის ინტერესებზე მორგებული სადაზღვევო მომსახურების შეთავაზება და/ან გაწევა.

1.3 მონაცემთა დამუშავება მოიცავს მზღვეველის მიერ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის, მონაცემთა შეგროვებას,

მოპოვებას, წვდომას, ფოტოგადაღებას, ვიდეოთვალთვალსა ან/და აუდიომონიტორინგს, ორგანიზებას, დაჯგუფებას,

ურთიერთდაკავშირებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას, დაბლოკვას, წაშლასა ან განადგურებას, ასევე, მონაცემთა გამჟღავნებას, მათი გადაცემის, გასაჯაროების, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით. მზღვეველის მიერ მონაცემები დამუშავდება მხოლოდ იმ მიზნით, რა მიზნისთვისაც იგი შეგროვდა და/ან კანონმდებლობით იქნა/არის გათვალისწინებული.

1.4 პერსონალური ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებზე (გარდა ზემოაღნიშნული პირებისა), კერძოდ, სახელმწიფო,

მარეგულირებელი ორგანოები, მომსახურების ან მისი ნაწილის დამფინანსებელი პირები, სამართალდამცავი ორგანოები და სხვა, განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა გადაცემული იქნას კანონმდებლობით პირდაპირ გაუთვალისწინებელ შემთხვევებშიც, კანონიერი ინტერესების დასაცავად, გონივრული საჭიროებიდან და/ან მოთხოვნის არსიდან გამომდინარე;

1.5 მზღვეველის მომსახურებით სარგებლობისას, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, მზღვეველის მიერ პერსონალური ინფორმაციის

განსაზღვრული მიზნებით დამუშავება გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება სადაზღვევო მომსახურეობის მიზნებს და/ან მოთხოვნილია მარეგულირებელი ორგანოების მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით;

7.8 დამზღვევი/დაზღვეული პირი ადასტურებს რომ, მიღებული აქვს სრული და ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებული მისი უფლებების შესახებ, მათ შორის, იმის შესახებ, რომ მისი მოთხოვნის შემთხვევაში,

მზღვეველი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. კერძოდ, დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსულია მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისგან მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მიღების, მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების, მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორების, განახლებისა და შევსების, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების, დაბლოკვის, დამატების, გადატანის, გასაჩივრების, თანხმობის გამოხმობის თაობაზე იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადეთ, ასევე მზღვეველის იურიდიულ მისამართზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის, მზღვეველის ტელეფონის ნომერზე +995 32 2922222 სატელეფონო შეტყობინების, მის ელექტრონულ მისამართზე: personaldataofficer@imedil.ge ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის ან მის ნებისმიერ ოფისში მოთხოვნის გაცხადების გზით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით. ამასთან, გაცნობებთ, რომ გაქვთ უფლება, არ დაექვემდებაროთ მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც თქვენთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს და თქვენი შესაბამისი მოთხოვნისას მზღვეველი მიიღებს სათანადო ზომებს თქვენი უფლებების, თავისუფლებისა და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მზღვეველის მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება მოხდება კანონიერად, სამართლიანად, გამჭვირვალედ და მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად.“

7.9 ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვისა და მათ დამუშავებასთან დაკავშირებული

ნებისმიერი საკითხისა თუ წამოჭრილი პრობლემის მაქსიმალურად ეფექტურად მართვის/გადაჭრის მიზნით, დაზღვეული პირი

უფლებამოსილია, კონსულტაციისთვის, ნებისმიერ დროს მიმართოს მზღვეველის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, შემდეგი ელ. ფოსტის მისამართზე personaldataofficer@imedil.ge და არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად მოკლე ვადაში მიიღოს კვალიფიციური და ოპერატიული მომსახურება.

7.10 დამზღვევი ადასტურებს, რომ მოპოვებული აქვს დაზღვეულის წერილობითი თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით და

მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარუდგენს მზღვეველს შესაბამის დოკუმენტაციას - დაზღვეულის მიერ

ხელმოწერილ თანხმობას ზემოაღნიშნული ფორმის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო მზღვეველს შესაბამისი უფლებამოსილი პირისგან დაეკისრება ჯარიმა ან/და მიადგება ნებისმიერი სახის ზიანი/ზარალი, დამზღვევი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მზღვეველს მასზე დაკისრებული ჯარიმა სრულად(პირგასამტეხლოს ჩათვლით ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აუნაზღაუროს მას მიყენებული ზიანი/ზარალი.

2. კონფიდენციალობის გარანტიები

2.1. „თქვენ“ პასუხისმგებელი ხართ იმ ინფორმაციის სიზუსტეზე, რომელსაც გვაწვდით, როგორიცაა „თქვენი“ საკონტაქტო მონაცემები ანგარიშის რეგისტრაციისას. „თქვენი“ პერსონალური ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, შეგიძლიათ გაასწოროთ, წაშალოთ უზუსტობა ან შეიტანოთ მასში ცვლილება. ჩვენ მივიღებთ შესაბამის ზომებს, შეძლებისდაგვარად სწრაფად შევიტანოთ მოთხოვნილი ცვლილებები იმ დროისთვის მოქმედ ჩვენს მონაცემთა ბაზებში. თუ „თქვენ“ მიერ მოწოდებული რაიმე ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, არ არის ზუსტი, მოძველებული ან არასრულია (ან აღარ შეესაბამება სინამდვილეს, აღარ არის ზუსტი, მოძველდა ან არასრული გახდა), ანდა იმედი L-ს საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ „თქვენ“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, არ არის ზუსტი, მოძველებული ან არასრულია, ჩვენ შეიძლება შეგიწყვიტოთ „თქვენთვის“ „სერვისების“ მოწოდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. თუ „თქვენ“ გსურთ „თქვენი“ ანგარიშის დეაქტივაცია ან გაუქმება ანდა გვთხოვთ, აღარ გამოვიყენოთ „თქვენი“ ინფორმაცია „თქვენთვის“ „სერვისების“ მოსაწოდებლად, დაგვიკავშირდით ელექტრონული ფოსტის ამ მისამართის info@imedil.ge მეშვეობით. ჩვენ გვაქვს უფლება, შევინახოთ „თქვენი“ ინფორმაცია მანამ, სანამ აქტიურია „თქვენი“ „სერვისების“ ანგარიში და საჭიროა „თქვენთვის“ „სერვისების“ მოწოდება. ასეთ ინფორმაციას არ შევინახავთ იმ ვადაზე მეტ ხანს, რაც საჭირო იქნება იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ეს ინფორმაცია შესაძლოა კანონიერად გამოვიყენოთ ან სხვაგვარად მოითხოვდეს იმ დროს მოქმედი კანონი. შესაძლოა მოვახდინოთ „თქვენი“ მონაცემების დეიდენტიფიცირება და აგრეგირება და შემდეგ შენახვა, თუ დაგვჭირდა ჩვენი სერვისების უფრო ეფექტიანად მიწოდებისთვის, მაგრამ დეიდენტიფიცირებულ მონაცემებს ჩვენ გამოვიყენებთ მხოლოდ ანალიტიკური/სტატისტიკური მიზნებისთვის. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ „თქვენ“ მიერ თანხმობის გამოხმობის ან ანგარიშის გაუქმების შედეგად იმედი L ვეღარ მოგაწოდებთ აპლიკაციის მეშვეობით „სერვისებს“

2.3. თუ არ გსურთ, მიიღოთ სარეკლამო და მარკეტინგული კატეგორიის ინფორმაცია სერვისების შესახებ, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ წერილი შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@imedil.ge.

2.4. „მომხმარებელს“ შესაძლებელია ჰქონდეს შეზღუდული წვდომა „სერვისებთან“ (მაგ.: მედიკამენტების ძიება) პირადი ნომრის და სხვა პერსონალური ინფორმაციის მიწოდების გარეშე, რომელიც საჭიროა ექიმთან ვიზიტის დანიშვნის, რეცეპტის მიღების, ფასდაკლებით სარგებლობის ან სადაზღვევო კომპანიებისგან საგარანტიო წერილის მიღებისთვის. იმისთვის

რომ ჩვენი „აპლიკაციის“ ყველა ფუნქცია და უპირატესობა გამოიყენოს, „მომხმარებელმა“ უნდა მოგვაწოდოს პირადი ნომერი და სხვა შესაბამისი მონაცემი, რომლებსაც დადასტურებისთვის მიმოვცვლით ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან/“პროვაიდერებთან“.

2.5. „მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ ვრცელდება „აპლიკაციაზე“, კომპიუტერულ პროგრამაზე, პროდუქტებსა და სერვისებზე, რომლებსაც ფლობს და აკონტროლებს იმედი L-ს მფლობელი სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი იურიდიული პირი, კომპანიის # 204919008). „თქვენ“ მიერ „სერვისების“ გამოყენებასა და წვდომაზე ვრცელდება „მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, ჩვენი პირობები და სხვა პოლიტიკა. იმედი L არ ახორციელებს კონტროლს იმ საიტებზე, რომლებიც ძიების შედეგად ან ბმულების სახით გამოჩნდება მის „სერვისებში“. ამ სხვა საიტებმა შესაძლოა თავიანთი მოკლე საინფორმაციო ფაილები (ე.წ. ქუქი-ფაილები) ან სხვა ფაილები განათავსონ „მომხმარებლის“ მოწყობილობაზე, შეაგროვონ მასზე ინფორმაცია ან მოსთხოვონ „მომხმარებელს“ პერსონალური ინფორმაცია, რაზეც იმედი L პასუხს არ აგებს. შესაბამისად, იმედი L არ იძლევა გარანტიას ასეთი ვებგვერდების მონაცემთა დაცვის მეთოდების და მათზე განთავსებული ინფორმაციის, მონაცემების, ტექსტის, პროგრამის, ხმის, ფოტოების, გრაფიკების, ვიდეოების, გზავნილების ან სხვა მასალის სიზუსტის, სანდოობის ან ხარისხის თაობაზე. თუ გადაწყვეტთ, ეწვიოთ მიბმულ მესამე მხარის ვებგვერდს, ამაზე მთლიან რისკს „თქვენ“ იღებთ. იმედი L მოუწოდებს „მომხმარებელს“, წაიკითხოს მესამე მხარეების მონაცემთა დაცვის პოლიტიკა.

2.6. იმედი L ატარებს უსაფრთხოების სათანადო ზომებს და პროცედურებს, რომ დაიცვას მის კონტროლქვეშ არსებული პერსონალური მონაცემები არაუფლებამოსილი წვდომისგან, არასწორი გამოყენებისა და გამჟღავნებისგან, არაუფლებამოსილი მოდიფიცირებისა და უკანონო განადგურებისგან ან შემთხვევით დაკარგვისგან. თუმცა, იმედი L არ არის პასუხისმგებელი „მომხმარებლის“ რაიმე ზარალზე, რომელიც მას მიადგა „მომხმარებლის“ იმ ელექტრონულ მოწყობილობაზე არაუფლებამოსილი წვდომის შედეგად დაკარგული ან მოპარული მონაცემების გამო, რომლითაც „მომხმარებელი“ იღებს „სერვისებს“.

2.7. იმედი L ატარებს უსაფრთხოების სათანადო ზომებს და პროცედურებს და აქვს სრულყოფილი დოკუმენტირებული საინფორმაციო უსაფრთხოების პროგრამა და საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკა, სადაც განსაზღვრულია მენეჯერული, ტექნიკური, საოპერაციო და ფიზიკური უსაფრთხოების კონტროლის ზომები, რომლებიც შეგროვილი ინფორმაციის და ჩვენი ბიზნესის ბუნების თანაზომადია.

2.8. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვეკიდებით კონფიდენციალობის და მონაცემების დაცვის „თქვენს“ უფლებას და გარდა ამ „მონაცემთა დაცვის პოლიტიკით“ განსაზღვრული შემთხვევებისა, „თქვენს“ პერსონალურ ინფორმაციას გავამჟღავნებთ მხოლოდ მაშინ, თუ ამას მოითხოვს კანონი, ზედამხედველობითი ორგანო ან სამართალდამცავი ორგანო, ანდა თუ იმედი L , თავისი შეხედულებით, ჩათვლის საჭიროდ საკუთარი უფლებების ან სხვათა უფლებების დასაცავად, ადამიანებისა და ქონებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, თაღლითობასა ან საკრედიტო რისკთან საბრძოლველად, ან „გამოყენების პირობების“ ასამოქმედებლად ან გამოსაყენებლად.

2.9. იმ მოცულობით, რა მოცულობითაც იქნება საჭირო „მომხმარებლებისთვის“ „სერვისების“ გასაწევად, იმედი L ინფორმაციას მიაწოდებს კონტრაქტორებს, რომლებიც მუშაობენ Iმედი ელის-ს სახელით ან იმედი L -თან „აპლიკაციის“ ექსპლუატაციაზე. ასეთ შემთხვევაში, „თქვენ“ გვაძლევთ ნებართვას, „თქვენი“ პერსონალური ინფორმაცია მხოლოდ ამ მიზნით გავუმხილოთ კონტრაქტორებს.

2.10. ჩვენ ხელმისაწვდომს ვხდით „მომხმარებლის“ ყველა ინფორმაციას ჩვენი თანამშრომლების, აგენტების ან პარტნიორებისა და მესამე მხარეებისთვის მხოლოდ სამსახურებრივი აუცილებლობის საფუძველზე და ვაკისრებთ ჩვენს თანამშრომლებს კონფიდენციალობის მკაცრი დაცვის ვალდებულებას.

3. ცვლილებები მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში

ჩვენ გვაქვს უფლება, ნებისმიერ დროს განვაახლოთ „მონაცემთა დავის პოლიტიკა“. იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა „მომხმარებლის“ იდენტიფიცირებადი პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაში ან „მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში“, ჩვენ ისე განვათავსებთ შეტყობინებას „აპლიკაციაზე“, რომ შეძლოთ მათი გაცნობა „სერვისების“ მოხმარების გაგრძელებამდე. თუ „თქვენ“ წინააღმდეგი იქნებით პირობებში რაიმე ცვლილების და აღარ ისურვებთ „სერვისების“ მიღებას, „თქვენი“ ანგარიშის დეაქტივაციისთვის დაგვიკავშირდით info@imedil.ge-ზე. თუ სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული, ჩვენი ახლანდელი „მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ ეხება ყველა ინფორმაციას, რომელიც იმედი L -ს აქვს „თქვენსა“ და „თქვენი“ ანგარიშის შესახებ.

4. თანხმობა წინამდებარე პოლიტიკაზე

„თქვენ“ აღიარებთ, რომ წინამდებარე „მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ წარმოადგენს „აპლიკაციის და სერვისების გამოყენების პირობების“ ნაწილს და უპირობოდ აცხადებთ, რომ თუ „აპლიკაციის“ და მისი „სერვისების“ „მომხმარებელი“ გახდებით „თქვენ“ (i) ეთანხმებით „მონაცემთა დაცვის პოლიტიკას“ და (ii) ეთანხმებით იმედი L-ის მიერ „თქვენი“ პერსონალური ინფორმაციის გამოყენებას, შეგროვებას, დამუშავებასა და/ან გამჟღავნებას იმ ფორმით და იმ მიზნებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია „მონაცემთა დაცვის პოლიტიკასა“ და „მომხმარებლის პირობებში“.

5. მისამართი კონფიდენციალობის და მონაცემთა დაცვის უფლების თაობაზე კითხვებისთვის

თუ რაიმე კითხვა გაგიჩნდათ წინამდებარე „მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ ან თქვენი ინფორმაციის შეგროვების, გამოყენების და გამჟღავნების მეთოდების შესახებ, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@imedil.ge. ჩვენ გამოვიყენებთ სათანადო ძალისხმევას, რომ სწრაფად გიპასუხოთ ნებისმიერ თხოვნაზე, შეკითხვასა ან წუხილზე, რომელიც შესაძლოა გქონდეთ ჩვენს მიერ „თქვენი“ პერსონალური ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებით.

გარკვეულ შემთხვევებში, „თქვენ“ გაქვთ მონაცემთა დაცვის შემდეგი უფლებები:

იმ ინფორმაციის წვდომის, განახლების ან წაშლის უფლება, რომელიც ჩვენ „თქვენზე“ გვაქვს. ნებისმიერ დროს, როცა შესაძლებელია, „თქვენ“ შეძლებთ ნახოთ, განაახლოთ „თქვენი“ „პერსონალური მონაცემები“ ან ითხოვოთ მათი წაშლა, „თქვენი“ ანგარიშის პარამეტრების (სეთინგები) სექციაში. თუ თავად არ შეგიძლიათ ამ ქმედებების განხორციელება, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ დახმარებისთვის.

შესწორების უფლება. „თქვენ“ გაქვთ უფლება, შეასწოროთ „თქვენი“ ინფორმაცია, თუ ის არ არის სწორი ან სრული.

თანხმობის გამოხმობის უფლება. „თქვენ“ ასევე გაქვთ უფლება, ნებისმიერ დროს გამოიხმოთ „თქვენი“ თანხმობა, სადაც იმედი L-ს ესაჭიროება „თქვენი“ თანხმობა „თქვენი“ პერსონალური ინფორმაციის დასამუშავებლად. თუ „თქვენ“ აღარ გსურთ, რომ იმედი L-მა დაამუშაოს „თქვენი“ პერსონალური ინფორმაცია, დაგვიკავშირდით support@ekimo.ge-ზე. თანხმობის ასეთი გამოხმობა გამოიწვევს „თქვენი“ იმედი L-ს ანგარიშის შეწყვეტას.

გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ ასეთ თხოვნაზე რეაგირებამდე, ჩვენ გვაქვს უფლება, მოგთხოვოთ „თქვენი“ პირადობის დადასტურება.

„თქვენ“ გაქვთ უფლება, მონაცემთა დაცვის სააგენტოში შეიტანოთ საჩივარი ჩვენ მიერ „თქვენი“ პერსონალური მონაცემების შეგროვების და გამოყენების თაობაზე. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შემდეგი ვებგვერდის მეშვეობით: https://personaldata.ge.

Confidentiality

Data Protection Policy

Imedi L ("We", "Application") is committed to protecting your privacy and the security of your personal data. This Data Protection Policy is published in accordance with the Law of Georgia "On Protection of Personal Data" and explains how we collect, process, transfer and protect the personal data of our registered users ("User", "you", "your") and special categories of data.

- If you do not agree with the data collection, processing, sharing and protection methods described in the Data Protection Policy, do not use Imedi L or any of its services.
- Your use of this "Application" shall be deemed to indicate that "You" have read, understood and agreed to the methods and policies set forth in the "Data Protection Policy" and agree to comply with the "Data Protection Policy".
- By reading this document, "You" agree to the methods of collection, processing and disclosure of "Your" personal data as described in the Data Protection Policy.
- If you use the "Application" on behalf of another person (such as your child), "You" represent that you are authorized to (I) acknowledge the Data Protection Policy on behalf of that person and (II) consent to the collection of information about that person on that person's behalf. The methods of processing, dissemination and protection are described in the Data Protection Policy.

1. Collection and processing of personal data

1. In order to provide insurance services, ensure high quality of services, as well as improve quality, conduct statistical research, fulfill contractual and legal obligations, the insurer/insured confirms the prior consent of the insurer and grants him the right to the following:

1.1 The Insurer shall process personal, including special category and health data of any person insured under the contract, including with the use of software (automatic and/or semi-automatic processing), both its direct employees and invited persons, as well as, however, through contractors, such processing shall be carried out in accordance with the requirements of applicable law in the scope and extent necessary for the provision of the service, without obtaining any additional consent.

1.2. For the purposes of this consent, for the purpose of data sharing, the following third parties are defined as: JSC "Mega-Lab" Gefa JSC, Evex Clinics JSC (and clinics included in its network), Evex Hospitals JSC (and hospitals included in its network), as well as those medical institutions, laboratories or pharmaceutical companies (medical service providers) operating on the basis of the relevant insurance contract are considered as companies providers, with the aim of providing both currently and in the future relevant insurance services, as well as offering and/or providing insurance services taking into account the interests of the insured.

1.3.Data processing includes any action performed by the Insurer, including collection, retrieval, access, photographing, video surveillance and/or audio monitoring, organization, grouping, connection, storage, modification, alteration, recovery, retrieval, use, blocking, deletion or destruction, and in addition, disclosure of data by transmission, disclosure, dissemination or otherwise providing access. Data will only be processed by the insurer for the purpose for which it was collected and/or was/is required by law.

1.4 The transfer of personal information to third parties (other than the above-mentioned persons), in particular to the state, regulatory authorities, persons financing the service or part of it, law enforcement agencies and others, will be carried out in accordance with the law. The specified information may be transferred even in cases not expressly provided for by law, in order to protect legitimate interests, based on reasonable necessity and/or the substance of the request;

1.5. During the use of the Insurer's services, as well as after its termination, the processing of Personal Information by the Insurer for the specified purposes will continue for a period that corresponds to the purposes of the insurance service and/or is required by regulatory authorities and / or stipulated by law;
7.8. The insurer/insured person confirms that he/she has received full and comprehensive information about his/her rights provided by the legislation of Georgia, including that upon his/her request the insurer is obliged to correct, update, supplement, block, delete or destroy the data if it is incomplete, inaccurate, irrelevant or if it has been collected and processed in violation of the law. In particular, the insurer/insured has the right to receive information about data processing from the person responsible for data processing/authorized for processing, to view and receive a copy of the data, to correct, update and supplement erroneous, inaccurate and/or incomplete data. , terminate, delete or destroy, block, add to the data processing, transfer, appeal, withdraw consent in the same form in which you gave your consent, as well as send a written communication to the insurer's registered office, to the insurer's address. phone number +995 32 2922222, to its e-mail address: Personaldataofficer@imedil.ge or request it at any of its offices by announcement, subject to the exceptions established by Georgian law. In addition, you are notified that you have the right to disobey a decision made solely on the basis of automation, including profiling, which gives you a legal or other material result, and upon your respective request, the insurer will take appropriate measures to protect your rights, freedoms and legitimate interests, except as provided by law. Your personal data will be processed by the insurer in a lawful, fair, transparent manner and without violating the dignity of the data subject".
7.9 In addition, in order to implement a high standard of personal data protection and to manage/solve any questions or problems related to the processing of personal data as efficiently as possible, the insured has the right to contact the insurer's personal data protection specialist at any time, at the following e-mail address: to the postal address Personaldataofficer@imedil.ge and, depending on the needs at hand, to receive qualified and prompt services as soon as possible.
7.10. The Insurer confirms that he has received the written consent of the Insured in this regard and, at the request of the Insured, will immediately provide him with the relevant documentation - the consent signed by the Insured in the above form. If, as a result of violation of the specified obligation, the Insured receives a fine from the relevant authorized person and/or suffers any damage/losses, the Insurer undertakes to pay the fine imposed on him in full (including breach of promise, if any) and compensate him/her for damage/losses.

2. Guarantees of confidentiality

2.1. "You" are responsible for the accuracy of the information that you provide to us, for example, "your" contact information when registering an account. If "Your" personal information changes, you can correct, delete inaccuracies or make changes to it. We will take reasonable steps to make the requested changes to our current databases as quickly as possible. If any information provided by you is incorrect, inaccurate, outdated or incomplete (or has become incorrect, inaccurate, outdated or incomplete) or Imedi L has reasonable suspicions that the information provided by you is untrue, inaccurate, outdated or incomplete, we may terminate the provision of "Services" to you in accordance with the legislation of Georgia.
2.2. If "you" want to deactivate or cancel "your" account or request that we no longer use "your" information to provide you with "services", please contact us at this email address info@imedil.ge . We have the right to store your information as long as your account in the Services is active and necessary to provide you with the Services. We will not store such information for longer than necessary for the purposes for which we can lawfully use this information, or in any other way as required by the legislation in force at that time. We can de-identify and aggregate and then store "your" data if necessary to provide our services more effectively, but we will use depersonalized data only for

analytical/statistical purposes. Please note that as a result of revoking "your" consent or canceling your account, Imedi L will no longer be able to provide you with "services" through the application.
2.3. If you do not wish to receive advertising and marketing category information about the Services, please send us a letter to the following e-mail address: info@imedil.ge.
2.4. The "User" may have limited access to the "Services" (for example: search for medicines) without providing a personal number and other personal information necessary to make an appointment with a doctor, receive a prescription, use a discount or receive a letter of guarantee from an insurance company. In order to use all the features and benefits of our "Application", the "User" must provide us with a personal number and other relevant data, which we will exchange with our partner organizations/"providers" for verification.
2.5 The "Data Protection Policy" applies to the "Application", computer software, products and services owned and controlled by the owner of "Imedi L" JSC "Insurance Company 'Imedi L' (a legal entity established and operating under the laws of Georgia, company number 204919008). Your use of and access to the Services is governed by the Privacy Policy, our Terms and other policies. Imedi L does not control the sites that appear as a result of searches or links to its "Services." These other sites may place their short information files (so-called cookies) or other files on the user's device, collect information on it, or request personal information from the user, for which Imedi L is not responsible. Accordingly, Imedi L does not guarantee the data protection methods of such websites, as well as the accuracy, reliability or quality of information, data, text, software, sound, photos, graphics, videos, messages or other materials posted on them. If you decide to visit an associated third-party website, you do so solely at your own risk. Imedi L encourages the "User" to familiarize himself with the data protection policy of third parties.
2.6. Imedi L implements appropriate security measures and procedures to protect personal data under its control from unauthorized access, misuse and disclosure, unauthorized modification and unlawful destruction or accidental loss. However, Imedi L is not responsible for any losses incurred by the "User" as a result of loss or theft of data as a result of unauthorized access to the electronic device of the "User" through which the "User" receives the "Services".
2.7. Imedi L implements appropriate security measures and procedures and has a fully documented information security program and information security policy that define managerial, technical, operational and physical security measures commensurate with the nature of the information collected and our business.
2.8. We take your right to privacy and data protection very seriously, and, except as specified in this Privacy Policy, we will disclose your personal information only if required by law, a supervisory authority or a law enforcement agency, or if Imedi L discloses your personal information at its discretion, as it considers it necessary to protect its rights or the rights of others, prevent harm to people or property, combat fraud or credit risk, and ensure compliance with the Terms of Use.
2.9. To the extent necessary to provide "Services" to "Users", Imedi L will provide information to contractors working on behalf of Imedi L or in conjunction with Imedi L to manage the "Application". In this case, "you" give us permission to disclose "your" personal information to contractors only for this purpose.
2.10. We share all information about "Users" with our employees, agents, partners and third parties only when there is a business need to do so and we impose strict confidentiality obligations on our employees.

3.Changes to the Data Protection Policy

We reserve the right to update the Data Protection Policy at any time. In case of significant changes to the processing of User's personal information or to the Data Protection Policy, we will post a notification in the Application so that you can familiarize yourself with them before continuing to use

the Services. If you object to any changes to the Terms and Conditions and no longer wish to receive Services, please contact us at info@imedil.ge to deactivate your account. Unless otherwise stated, our current "Privacy Policy" applies to all information that Imedi L has about "you" and "your" account.

4. Consent to the current Policy

"You" acknowledge that this "Privacy Policy" is part of the "Terms of Use of the Application and Services", and unconditionally declare that if you become a "User" of the "Application" and its "Services", "you" (i.e.) agree to the "Privacy Policy" and (ii) consent to use, collect, process and/or disclose "your" personal information by Imedi L in the manner and for the purposes set out in the "Data Protection Policy" and "User Terms".

5. Address for questions regarding privacy and data protection rights

If you have any questions about this "Data Protection Policy" or the methods of collecting, using and disclosing your information, you can contact us at the following email address: info@imedil.ge . We will make reasonable efforts to promptly respond to any request, question or concern that you may have regarding our use of "your" personal information.

In certain cases, "you" have the following data protection rights:

• The right to access, update or delete information we have about you. At any time, when applicable, you can view, update, or request the deletion of your personal data in the settings section of your account. If you are unable to complete these steps yourself, please contact us for help.

• Right to correction. You have the right to correct your information if it is not correct or complete.

• The right to withdraw consent. You also have the right to withdraw your consent at any time when Imedi L requires your consent to the processing of your personal information. If "you" no longer want Imedi L to process "your" personal information, please contact us at support@ekimo.ge. Such withdrawal of consent will result in termination of "your" Imedi L account.

Please note that before responding to such a request, we have the right to ask you to confirm "your" identity.

You have the right to file a complaint with the Data Protection Agency regarding the collection and use of your personal data by us. For more information, please contact the State Inspectorate via the website: https://personaldata.ge.